

როგორ შევავსოთ კომერციულ ბანკებში კრედიტუნარიანობა და როგორ ვმართოთ საკრედიტო რისკები

მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში კრედიტის კრედიტუნარიანობა ყოველთვის ითვლებოდა საკრედიტო ურთიერთობის ფორმისა და მიზანდასახელობის განსაზღვრის შეფასებისათვის ერთ-ერთ აუცილებელ ძირითად მახასიათებლად. მსესხებლის კრედიტუნარიანობა ნიშნავს იურიდიული და ფიზიკური პირის შესაძლებლობას, მთლიანად და დროულად გაასწოროს ანგარიში თავის საკუთარ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს ფრანგ ეკონომისტს ნ. ბუნგეს თავის ნაშრომში „კრედიტის თეორია“ მოჰყავს ცნობილი ბანკირის ლოს სიტყვები: „**ვუცხადებთ რა ნდობას, ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას მათ (კლიენტების) პატიოსნებას, რაც გვარწმუნებს, რომ ჩვენ არ დავრჩებით მოტყუებულნი; მათ დახელოვნებას — ის გვაძლევს იმედს, რომ ისინი არ შეცდებიან ანგარიშში; მათი საქმიანობის სფეროს — ამით განისაზღვრება იმ პროცენტების იმედი, რომლის მიღებასაც ჩვენ ვვარაუდობთ.**“

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ **ნ. ბუნგე** კრედიტუნარიანობას უკავშირებდა დიდ უძრავ კაპიტალს და ვალის დაბრუნების გარანტიად სახსრების უძრავ ქონე-

ბაში დაბანდებს თვლიდა, ბევრი ეკონომისტი საწინააღმდეგო მოსაზრებას იზიარებს. კრედიტუნარიანობის საფუძვლად ისინი მიიჩნევენ მსესხებლის შესაძლებლობას — გამოიმუშაოს სახსრები სესხის დასაფარავად ფონდების ნორმალური დაბანდების გზით. მაგალითად, პოლონელი ეკონომისტის ვ. კოსინსკის აზრით, „**კრედიტუნარიანობა იზომება იმ პირობებით და გარანტიებით, რომ კაპიტალი დაბრუნდება და არ „დაიღუპება“.**“

მარტივი საბანკო პოსტულატია ის, რომ კრედიტის, განსაკუთრებით მსხვილი სესხების, დაუბრუნებლობას შეუძლია ბანკის გაკოტრებამდე მიყვანა. რიგი ქვეყნების საბანკო სისტემების კრიზისის ანალიზმა (სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის (1997 წ.), რუსე-



ბესიკ ბოლუჰავა

თსუ დოქტორანტი

თის (1998 წ.), აშშ-ის (2007-2008წწ.) საბანკო კრიზისები) აჩვენა, რომ ბანკების ფინანსურ პრობლემათა მიზეზები განპირობებულია საკრედიტო რისკის რეალიზაციით — **ვადაცადაცილებული კრედიტების მნიშვნელოვანი მოცულობით, რომელიც გამოწვეულია მაღალი რისკის მქონე საკრედიტო დაბანდებებით. კომერციული ბანკების გაკოტრების მთავარ მიზეზებად მთელ მსოფლიოში მიჩნეულია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: აქტივების დაბალი ხარისხიანობა, პრობლემური კრედიტების არადროული გამოვლენა და კონტროლის სისუსტე.**

ხაზგასასმელია, რომ თანამედროვე პირობებში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებასთან ერთად იზრდება კომერციული ბანკების საქმიანობის თანამდევი სხვადასხვა რისკები. საბანკო რისკების თეორია დამუშავებულია მსოფლიო საბანკო პრაქტიკის საფუძველზე და შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ჩვენი საბანკო სისტემის მიერ, განსაკუთრებით მისი ჩამოყალიბების ეტაპზე.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების კომერციული ბანკები კლიენტების კრედიტუნარიანობის შესაფასებლად იყენებენ რთულ სისტემებსა და მონაცემთა დიდ რაოდენობას. აღნიშნული სისტემები დიფერენცირებულია მსესხებლების (საცალო თუ საბითუმო საბანკო-საკრედიტო ბაზრის



სუბიექტების) საქმიანობისა და ანგარიშგების სპეციფიკის მიხედვით. მაგალითისათვის, მსოფლიო ბანკი ამ მიზნით იყენებს ისეთ სისტემას, რომელიც ფინანსური კოეფიციენტის 5 ჯგუფისგან შედგება. ესენია: 1. ლიკვიდობის კოეფიციენტები; 2. საქმიანი აქტიურობის კოეფიციენტები; 3. საფინანსო ლევერეჯის კოეფიციენტები; 4. რენტაბელობის კოეფიციენტები; 5. „საბაზრო“ კოეფიციენტები. მსესხებელთა კრედიტუნარიანობის შეფასება სხვადასხვა წესით ხორციელდება. მაგალითად, საფრანგეთის კომერციული ბანკები კლიენტების კრედიტუნარიანობის შეფასების სამ მეთოდს იყენებენ, კერძოდ: საწარმოების ბალანსებისა და სხვა საფინანსო ანგარიშების ანალიზსა და შეფასებას; კლიენტების კრედიტუნარიანობის შეფასებას იმ მეთოდებზე დაყრდნობით, რომლებსაც იყენებენ ცალკეული კომერციული ბანკები; საფრანგეთის ბანკების კარტოთეკაზე დაყრდნობით კრედიტუნარიანობის შეფასებას.

როგორც ცნობილია, კომერციული ბანკების კლიენტების მნიშვნელოვან ნაწილს მცირე და საშუალო საწარმოები შეადგენენ. მათი კრედიტუნარიანობის შეფასებისას, პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს საქმიანობის რისკის შეფასებას ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებიდან გამომდინარე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოთხოვნილი სესხის მოცულობა, დაგეგმილი შემოსავლები და საქ-

მიანობის ლიკვიდობა. ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს ხელშეკრულების საფუძველზე გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციის, მიმწოდებლებისა და მყიდველების ადგილმდებარეობაზე, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქციონირებისათვის დამახასიათებელ სხვა თავისებურებებზე.

რისკების მართვა შემდეგ ეტაპებს მოიცავს: რისკების იდენტიფიკაცია; რისკების შეფასება; რისკების სტრატეგიის შერჩევა; რისკის დონის შემცირების საშუალებების შერჩევა და გამოყენება; რისკის დონის კონტროლი.

საკრედიტო რისკის ფაქტორები მოიცავს ბანკის მიმართ როგორც გარე, ისე, შიდა მახასიათებლებს. გარე ხასიათის ფაქტორები დაკავშირებულია საკრედიტო რისკის რეალიზაციის შესაძლებლობასთან, რომელიც არ არის განპირობებული ბანკის საკრედიტო განყოფილების თანამშრომელთა საქმიანობით. შიდა მოვლენებზე დამოკიდებული ფაქტორები, პირიქით, დაკავშირებულია საკრედიტო დოკუმენტაციის გაფორმების მიმდინარეობის, კრედიტუნარიანობის შეფასებისა და თანამდებობრივი ინსტრუქციის დარღვევის დროს თანამშრომელთა მიერ დაშვებულ შეცდომებთან. აქედან გამომდინარე, საკრედიტო რისკის მართვის ორგანიზაცია ხორციელდება მონაწილეებს შორის საინფორმაციო გაცვლის საშუალებით უწყვეტობის საფუძველზე.

საკრედიტო რისკის მართვა მოიცავს საკრედიტო რისკის რეალიზაციის ღირებულების შეფასებას, რომელიც წარმოადგენს მსესხებლის მიერ საკრედიტო შეთანხმების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკის დანაკარგების ოდენობის გაანგარიშებას. რისკების მართვისას გაითვალისწინება იმ ფაქტორების მოქმედება, რომლებიც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკის შემცირებას, ესენია: მაღალი რისკის დონის კრედიტებზე უარის თქმა, საკრედიტო მონიტორინგის სიხშირისა და ხარისხის და, შესაბამისად, ბანკის ინფორმირებულობის გაზრდა.

გონივრული საბანკო დაკრედიტების ჩატარების აუცილებელ ღონისძიებად ითვლება საკრედიტო შემოწმება. საბანკო პრაქტიკაში შემუშავებულია შემოწმების ძირითადი პრინციპები, კერძოდ: ა) ყველა სახის კრედიტის ძირითადი შემოწმება; ბ) ყველა საკრედიტო ხელშეკრულების აუცილებელი პირობების შემოწმება (მსესხებლის გადახდის გრაფიკის, კრედიტის უზრუნველყოფის, საფინანსო მდგომარეობის შემოწმება და სხვა). მსესხებელთა კრედიტუნარიანობის შეფასების ფართოდ აპრობირებული მეთოდების პრაქტიკაში დასაწერგავად აუცილებელია კლიენტების შესახებ უფრო ვრცელი ინფორმაციის მოპოვება, ვიდრე ქვეყანაში მოქმედ ბანკებს გააჩნიათ. ასევე, საჭიროა გარესაბალანსო ანგარიშგების მოგვარება, ბანკების სათანადო პროგრამებითა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა.

საბანკო საქმიანობის განვითარების კვალდაკვალ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები პერიოდულად სრულყოფენ თავიანთ საკრედიტო პოლიტიკას. ცალკეული კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა თავისი ფორმითა და შინაარსით მეტ-ნაკლებად განსხვავდება სხვა, თუნდაც იმავე ზომის, კომერციული ბანკის პოლიტიკისაგან, რაც, ბუნებრივია, ბანკის სტრატეგიისა და მართვის განსხვავებული სტილითაა განპირობებული.





მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკისა და საკრედიტო რისკის მართვის სისტემები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გამო, ამ თვალსაზრისით, კომერციულ ბანკებში რეალურად შეიმჩნევა სხვადასხვა ნაკლოვანებები, რომელთაგანაც აღსანიშნავია შემდეგი: 1. ეკონომიკის სექტორებისა და ბიზნეს სეგმენტების სუსტი ანალიზი; 2. მსესხებლების შესახებ არასრულყოფილი ინფორმაცია და ფინანსური ანალიზი; 3. გადაჭარბებული იმედის დამყარება უპირატესად უზრუნველყოფაზე; 4. სუსტი მონიტორინგი მსესხებელზე და სასესხო დოკუმენტაციის არასათანადო კონტროლი; 5. სესხების კლასიფიკაციის სუსტი შიდა სისტემები და სესხების შესაძლო დანაკარგების არაადეკვატური რეზერვის ფორმირება.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები განსხვავებულია საქართველოში მოქმედი თითოეული ბანკის მიხედვით და მეტ-ნაკლები ხარისხით ყველა ბანკისათვისაა დამახასიათებელი, მიუხედავად მათი საკრედიტო საქმიანობის აქტიურობის დონისა, რამაც გამწვავებული მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე თავისი ნეგატიური ასახვა ჰპოვა საქართველოს საბანკო სისტემის ლიკვიდობის და, მთლიანობაში, მდგრადობის მდგომარეობაზე.

საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების საკრედიტო რისკის მართვის სისტემაში გამოყენებულ სხვადასხვა ფაქტორებს განიხილავენ ერთობლიობაში, სხვადასხვა პროცენტული წილის მიხედვით, ხოლო თვით საკრედიტო რისკის განსაზღვრისათვის გამოსაყენებელ თითოეულ ფაქტორს ბანკები აფასებენ მათ მიერ შექმნილი კრიტერიუმების შესაბამისად და ანიჭებენ შესაბამის ქულას. საკრედიტო რისკის შეფასების ასეთი სისტემის გამოყენებით ბანკებისთვის თავიდანვე შესაძლებელი ხდება მათი შედარებით „სუსტი წერტილების“ იდენტიფიკაცია, რადგან სესხის მონიტორინგის პროცესი განსაკუთრებული ყურადღების საგანია – ასეთი სისტემის მეშვეობით საბანკო დანესხებულებები თითოეულ სესხს ანიჭებენ შესაბამის რეიტინგს, რომელიც სესხის გაცემის პროცესში მთავარ, გადამწყვეტ საკითხს უნდა წარმოადგენდეს. უნდა აღინიშნოს, რომ საკრედიტო რისკის მართვის ეფექტიანი სისტემის არსებობა კონკრეტული ბანკისათვის თავისთავად პრობლემის გადაწყვეტის ეფექტური საშუალებაა, მაგრამ, ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ძირითადი შემავალი ინფორმაციის სიზუსტე, სწორი შეფასებების მიცემა, დასკვნების გამოტანა და შესაბამისი პროცედურების თანმიმდევრულად შესრულება.

საიმედოობა (საკრედიტო-საინფორმაციო ასიმეტრია).

საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები საკრედიტო რისკის მართვის სისტემაში გამოყენებულ სხვადასხვა ფაქტორებს განიხილავენ ერთობლიობაში, სხვადასხვა პროცენტული წილის მიხედვით, ხოლო თვით საკრედიტო რისკის განსაზღვრისათვის გამოსაყენებელ თითოეულ ფაქტორს ბანკები აფასებენ მათ მიერ შექმნილი კრიტერიუმების შესაბამისად და ანიჭებენ შესაბამის ქულას. საკრედიტო რისკის შეფასების ასეთი სისტემის გამოყენებით ბანკებისთვის თავიდანვე შესაძლებელი ხდება მათი შედარებით „სუსტი წერტილების“ იდენტიფიკაცია, რადგან სესხის მონიტორინგის პროცესი განსაკუთრებული ყურადღების საგანია – ასეთი სისტემის მეშვეობით საბანკო დანესხებულებები თითოეულ სესხს ანიჭებენ შესაბამის რეიტინგს, რომელიც სესხის გაცემის პროცესში მთავარ, გადამწყვეტ საკითხს უნდა წარმოადგენდეს. უნდა აღინიშნოს, რომ საკრედიტო რისკის მართვის ეფექტიანი სისტემის არსებობა კონკრეტული ბანკისათვის თავისთავად პრობლემის გადაწყვეტის ეფექტური საშუალებაა, მაგრამ, ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ძირითადი შემავალი ინფორმაციის სიზუსტე, სწორი შეფასებების მიცემა, დასკვნების გამოტანა და შესაბამისი პროცედურების თანმიმდევრულად შესრულება.

ამრიგად, კომერციული ბანკის მიერ საკრედიტო რისკების მართვის ეფექტიანი სისტემის გამოყენება (ადეკვატური შიდა კონტროლის სისტემის თანხლებით) ბანკის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების, კონკურენტუნარიან საბანკო ინსტიტუტად ფუნქციონირების, საბანკო ბაზარზე ადგილის დამკვიდრებისა და გავლენის გაძლიერების აუცილებელი პირობაა, წინააღმდეგ შემთხვევაში მეტად ბუნდოვანი და არაპროგნოზირებადი იქნება ბანკის განვითარების პერსპექტივა, შესაბამისად, მისი საქმიანობა სისტემატურად მრავალ უპასუხო კითხვას წარმოშობს.

კომერციული ბანკების საკრედიტო რისკის ეფექტიანად მართვაში არსებული სირთულეები, შიდა სუბიექტური ფაქტორების გარდა, გამომწვეულია გარე ობიექტური ფაქტორებითაც, ასევე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის დამახასიათებელი მყიფე მაკროეკონომიკური გარემოთი და ჩამოყალიბებული ბიზნეს ინფრასტრუქტურით, რომელთა ცვლილებების პროგნოზირება, თავის მხრივ, პრობლემურია.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს საბანკო ბაზარზე აქტიურად მოქმედ რიგ კომერციულ ბანკებში საგრძნობლად უმჯობესდება საკრედიტო პოლიტიკა და მისი თანამდევ პროცედურები. კერძოდ, ისინი ქმნიან საკრედიტო რისკის მართვის საკუთარ სისტემებს, რომლებშიც ითვალისწინებენ მრავალ ფაქტორს: მსესხებელთა საკრედიტო ისტორიას, ფინანსური მდგომარეობის ანალიზს, მენეჯმენტის დონეს, ეკონომიკის სექტორულ ანალიზს, პროექტის ფინანსურ-ეკონომიკურ ანალიზს, სესხის უზრუნველყოფას და სხვა. ამასთან, ბანკების მიერ მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მსესხებელთა ფინანსური მდგომარეობის ანალიზის საკუთარი მოდელების შექმნასა და პრაქტიკაში მათ დანერგვას. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რეალობაში კომერციული ბანკების მსესხებელთა ფინანსური მდგომარეობის ანალიზის წარმოებისას ერთი მნიშვნელოვანი და გამოკვეთილი პრობლემაა ფინანსური ინფორმაციის ნამდვილობა და